

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი  
საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია  
საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია

## მოსაზრებები „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში დაგეგმილ ცვლილებებთან დაკავშირებით

როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი ბოლო პერიოდში საქართველოს პარლამენტში მიმდინარეობდა მუშაობა „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების ტექსტთან დაკავშირებით. დღეს, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მიერ გავრცელდა ინფორმაცია, რომელის თანახმადაც აღნიშნული კანონპროექტი უკვე არის დარეგისტრირებული პარლამენტში განსახილველად.

უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით უნდა აღნიშნოს, რომ კანონის პროექტზე მუშაობის პროცესში არ ყოფილა უზრუნველყოფილი ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობა და ჩართულობა. პროექტის ტექსტი არ ყოფილა ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის მისი მომზადების პროცესში. აღნიშნული განსაკუთრებით პრობლემურია თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს პარლამენტი არის „ღია მმართველობის პარტნიორობის“ ინიციატივის აქტიური მონაწილე და აღებული აქვს ვალდებულება გააუმჯობესოს კანონშემოქმედებით პროცესის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხი.

შეთავაზებული ცვლილებები წინააღმდეგობაში მოდის დემოკრატიული და გამჭვირვალე მმართველობის პრინციპებთან. კერძოდ:

- კანონის პროექტი ზღუდავს საზოგადოებრივ მაუწყებელში დაცულ საჯარო ინფორმაციაზე წვდომას და აწესებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ბევრად დაბალ სტანდარტს ვიდრე ეს საქართველოს კონსტიტუციითა თუ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით არის გათვალისწინებული.
- ცვლილებების თანახმად საზოგადოებრივი მაუწყებელი თავისუფლდება პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვისას „სახელმწიფო შესყიდვების“ შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი ვალდებულებებისგან. მაუწყებლის მიერ განხორციელებულ შესყიდვათა მხოლოდ ძალზე მცირე ნაწილი განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველო კანონის შესაბამისად. ცვლილების არსებული სახით მიღების შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება არამართო საზოგადოებრივი მაუწყებლის ანგარიშვალდებულება, არამედ ჩრდილი მიადგება მთლიან სახელმწიფო შესყიდვების სიტემას.
- კანონპროექტი ითვალისწინებს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის უფლებამოსილებათა გაზრდას, სამეურვეო საბჭოს ფუნქციონირებათა შემცირების ხარჯზე, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს მაუწყებელზე სრულყოფილი დემოკრატიული კონტროლის განხორციელების მექანიზმებს.
- ცვლილებების არსებული რედაქციის საფუძველზე 50%-ით მცირდება საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში სოციალური რეკლამისთვის გამოყოფილი დრო.

- კანონპროექტი აუარესებს საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა შრომით უფლებების დაცვის ხარისხს.

თითოეული პრობლემის დეტალური აღწერა და ხელმომწერი ორგანიზაციების პოზიცია სიღრმისეულად არის განხილულ მოცემულ დოკუმენტში. თუმცა, კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას, რომ წარმოდგენილი ცვლილებები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ისეთ სტანდარტებს, როგორც არის საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის გამჭვირვალობა. შესაბამისად პარლამენტის მიერ პროექტის არსებული სახით მიღების შემთხვევაში ააიპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ გაასაჩივრებს მას საკონსტიტუციო სასამართლოში.

## სახელმწიფო შესყიდვები

მუხლი 16, ქვეპუნქტი „ზ“

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოქმედი რეგულაცია:

„საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია: „ეთერის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ კანონით დადგენილი წესით.“

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილება:

„საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია: „საზოგადოებრივი მაუწყებლის პროდუქციის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვაზე არ ვრცელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი.“

მუხლი 20<sup>1</sup>

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოქმედი რეგულაცია:

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ განსახორციელებელი ტელერადიოპროდუქციის (პროგრამები, გადაცემები, ფილმები, რეპორტაჟები, კულტურული ღონისძიებები) ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხორციელდება არარეზიდენტი პირისაგან ტელერადიოპროდუქციის (პროგრამები, გადაცემები, ფილმები, რეპორტაჟები, კულტურული ღონისძიებები) ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების, აგრეთვე სატელეტური თანამგზავრის საშუალებით ტელერადიოპროდუქციის (პროგრამები, გადაცემები, ფილმები, რეპორტაჟები, კულტურული ღონისძიებები) გავრცელებასთან ან/და მის მიღებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა.“

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილება:

„1. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი არ ვრცელდება საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გადასაცემი გადაცემების, სერიალ(-ებ)ის, მხატვრული ან/და დოკუმენტური ფილმ(-ებ)ის დამზადების მომსახურების შესყიდვაზე.

2. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ განსახორციელებელი ტელერადიოპროდუქციის (პროგრამები, გადაცემები, ფილმები, რეპორტაჟები, კულტურული ღონისძიებები) ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების

შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხორციელდება არარეზიდენტი პირისაგან ტელერადიოპროდუქციის (პროგრამები, გადაცემები, ფილმები, რეპორტაჟები, კულტურული ღონისძიებები) ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების, აგრეთვე სატელიტური თანამგზავრის საშუალებით ტელერადიოპროდუქციის (პროგრამები, გადაცემები, ფილმები, რეპორტაჟები, კულტურული ღონისძიებები) გავრცელებასთან ან/და მის მიღებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა.“

### ხელმომწერი ორგანიზაციების მოსაზრება

შემოთავაზებულ ცვლილებათა კუმულაციური ეფექტი გამოხატულებას პოვნებს ისეთ ვითარებაში, როდესაც „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედების სფეროდან სრულად გამოირიცხება პროდუქციის დამზადების და გამზადებული პროდუქციის შესყიდვა კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და არარეზიდენტი პირებისგან. შესაბამისად, პროდუქციის შეძენა-წარმოების შესყიდვისათვის ტენდერის ჩატარების ვალდებულება, საზოგადოებრივ მაუწყებელს ექნება მხოლოდ რეზიდენტი პირებისგან შეძენის შემთხვევაში. შესაბამისად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონით“ დადგენილი სტანდარტის დაცვა საზოგადოებრივ მაუწყებელს შესყიდვათა მხოლოდ ძალზედ შეზღუდულ ნაწილზე გავრცელდება.

განმარტებითი ბარათის თანახმად: *„გაუთვალისწინებელი მოვლენების გამო, წინასწარ ვერ ხერხდება სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა, ხოლო უმოკლეს ვადებში კი ვერ ხორციელდება კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა. შესაბამისად, მიზანშეწონილია, რომ, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ჯერჯერობით ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საგამონაკლისო წესით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი არ გავრცელდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გადასაცემი გადაცემების, სერიალ(-ებ)ის, მხატვრული ან/და დოკუმენტური ფილმ(-ებ)ის დამზადების მომსახურების შესყიდვაზე.“*

საზოგადოებრივი მაუწყებლის გარე და შიდა პროდუქციის შესყიდვის გატანა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მოქმედების სფეროდან დაუშვებელია, ვინაიდან ეს გაუმჭვირვალეს გახდის საზოგადოებრივი მაუწყებლის შესყიდვებს და შეასუსტებს მაუწყებლის ანგარიშვალდებულების სტანდარტს. საზოგადოებრივი მაუწყებელი წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის ფუნქციონირება და დაფინანსება მთლიანად დამოკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ფინანსურ რესურსებზე. შესაბამისად, საზოგადოებრივი მაუწყებლის ანგარიშვალდებულებისა და ფინანსური გამჭვირვალობის დონე მაქსიმალურად მაღალი უნდა იყოს. კანონში შესატანი ცვლილებების ზემოთ-მოყვანილი რედაქცია მაუწყებლის გამჭვირვალობის სტანდარტს დაბლა წევს, აჩენს მაუწყებლის შესყიდვებში კორუფციულ რისკებს და მის მიერ საჯარო ფინანსების გაუმჭვირვალედ ხარჯვის შესაძლებლობას იძლევა.

განმარტებით ბარათში მოყვანილი არგუმენტები 1) შესყიდვის დაგეგმვასთან არსებული პრობლემები; 2) უმოკლეს ვადებში შესყიდვის განხორციელების პრობლემები; არაა საკმარისი გამონაკლისის დაშვებისთვის.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც გაუთვალისწინებელი მიზეზების ან ობიექტური პირობების შემთხვევებში შესაძლებელია

ტენდერის ავლით, პირდაპირი შესყიდვის განხორციელება (საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მუხლი 10<sup>1</sup>). მათ შორის, ტენდერის ავლით შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს თუ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა. შესაბამისად, დაგეგმვასთან დაკავშირებული პრობლემების მიუხედავად, შესაძლებელია ტენდერის გარეშე შესყიდვის განხორციელება.

წლების განმავლობაში, დაგეგმვასთან დაკავშირებულ პრობლემებს არ გამოუწვევია მაუწყებლის საქმიანობის შეჩერება. ამასთანავე, გადაცემების რაოდენობა მაუწყებელზე 2012 წლიდან სტაბილურად იზრდება. შესაბამისად, გაუგებარია თუ რა კონკრეტულ საფრთხეს წარმოადგენს არხის ფუნქციონირებისთვის მასზე “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის” გავრცელება დამატებითი გამონაკლისების გარეშე.

ამასთანავე, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის მოქმედების სფეროდან გამონაკლისების გაზრდა ეწინააღმდეგება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD-ACN) მიერ საქართველოს შეფასების [მე-4 რაუნდის ანგარიშის რეკომენდაციას](#), რომლის თანახმად, გამონაკლისების რაოდენობა პირიქით უნდა შემცირდეს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში.

შემოთავაზებული ცვლილებების დამტკიცება ასევე აჩენს უარყოფით პრეცედენტს, როდესაც საჯარო სამართლის იურიდიული პირი ითხოვს გამონაკლისების დაწესებას სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობიდან. მსგავს ცვლილებებს შესაძლოა მოყვეს უარყოფითი ბიძგები სახელმწიფო შესყიდვების მთლიან სისტემაში და სხვა საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელმა ორგანოებმაც მოითხოვონ მსგავსი გამონაკლისების დაწესება საკუთარი საქმიანობის სპეციფიკიდან ან მოთხოვნებიდან გამომდინარე. შედეგად, ზიანი მიადგება საჯარო ფინანსების ხარჯვის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის ერთიან სისტემას, რომელიც აღიარებულია მსოფლიოში როგორც ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე.

## საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის საჯაროობა

### მუხლი 21

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოქმედი რეგულაცია:

„საზოგადოებრივი მაუწყებელი უზრუნველყოფს საკუთარი საქმიანობის საჯაროობას, აწყობს რეგულარულ შეხვედრებს საზოგადოებასთან და ითვალისწინებს მოქალაქეთა წინადადებებს საზოგადოებრივი ინტერესების უკეთ გამოხატვის მიზნით.“

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილება:

„1. საზოგადოებრივი მაუწყებელი უზრუნველყოფს საკუთარი საქმიანობის საჯაროობას, აწყობს რეგულარულ შეხვედრებს საზოგადოებასთან და ითვალისწინებს მოქალაქეთა წინადადებებს საზოგადოებრივი ინტერესების უკეთ გამოხატვის მიზნით.

2. საზოგადოებრივ მაუწყებელში დაცული, დამუშავებული, შექმნილი, მიღებული ინფორმაცია ან/და ამგვარი ინფორმაციის შემცველი/მასთან დაკავშირებული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობასთან დაკავშირებულ სამოქმედო გეგმების, ინოვაციური ხასიათის, ინტელექტუალურ-შემოქმედებითი სიახლის ან/და შიდა საწარმოო/მმართველობითი პროცესების ამსახველ ინფორმაციას და რომლის გასაჯაროება კონკურენტულ გარემოში მოქმედ სხვა მაუწყებლებთან მიმართებაში ზიანს აყენებს საზოგადოებრივ მაუწყებელს, არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და ასეთ ინფორმაციაზე



არ ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის განსაჯაროების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორი.“

#### ხელმომწერი ორგანიზაციების მოსაზრება

საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის საჯაროობის შემოთავაზებული ვერსია წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს კონსტიტუციასა და მოქმედ კანონმდებლობასთან. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის თანახმად ყველა მოქალაქე უფლებამოსილია ხელი მიუწვდებოდეს სახელმწიფო დაწესებულებებში არსებულ დოკუმენტაციაზე, თუ აღნიშნული დოკუმენტაცია არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას. ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს უფრო დეტალურად აწესრიგებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. კერძოდ კოდექსის თანახმად საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაცია წარმოადგენს ღია საჯარო ინფორმაციას. საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაცია, შესაძლებელია არ გაიცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის წარმოადგენს სახელმწიფო, პროფესიულ ან/და კომერციულ საიდუმლოებას, შეიცავს პერსონალურ მონაცემებს ან დაცულია აღმასრულებელი პრივილეგიით. საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა სხვა ნებისმიერი საფუძვლით არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, შესაბამისად არის არალეგიტიმური.

საზოგადოებრივი მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონი ვერ დააწესებს საჯარო ინფორმაციის ახლებურ განმარტებას კონკრეტულად იმ ინფორმაციისთვის, რაც საზოგადოებრივ მაუწყებელში ინახება. საზოგადოებრივი მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონმა შეუძლებელია შეზღუდოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება საჯარო ინფორმაციაზე.

დაუშვებელია ასევე, საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალურ დირექტორს მიენიჭოს ერთპიროვნული და ექსკლუზიური უფლებამოსილება თავად გადაწყვიტოს თუ მაუწყებელთან დაკავშირებით რა ინფორმაცია უნდა გასაჯაროვდეს და რა არა. მსგავსი პრეცედენტი დაშვება, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ერთიან სისტემას სახელმწიფოში.

განმარტებითი ბარათის თანახმად აღნიშნული ცვლილების განხორციელების საჭიროება გამომდინარეობს მაუწყებლის კონკურენტუნარიანობის დაცვის ინტერესიდან. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინტერესი არის ლეგიტიმური, დაუშვებელია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში შემოთავაზებული ცვლილების მიღება. მოქმედი კანონმდებლობა უკვე იცნობს კომერციული და პროფესიული საიდუმლოების ცნებას, რომელთა ერთ-ერთ ძირითად მიზანსაც სწორედ პირთა კონკურენტუნარიანობის დაცვა წარმოადგენს.

გენერალური დირექტორისა და სამეურვეო საბჭოს უფლება-მოვალეობები

მუხლი 30, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „ბ“ და „გ“

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოქმედი რეგულაცია:

„სამეურვეო საბჭო:

ბ) გენერალური დირექტორის წარდგინებით, სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით იღებს საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულებას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების რედაქციული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას; უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან გენერალური დირექტორის წინადადებით, ცვლილებები შეიტანოს დებულებაში;

გ) გენერალური დირექტორის წარდგინებით იღებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტს და ამტკიცებს მისი შესრულების ანგარიშს; უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით ან გენერალური დირექტორის წინადადებით, ცვლილებები შეიტანოს ბიუჯეტში;

თ) ადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლების შრომითი ხელშეკრულების ძირითად პირობებს, მათ შორის, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის პირობებს, იმის გათვალისწინებით, რომ შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა 1 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს, გარდა საინჟინრო-ტექნიკური მუშაკებისა, რომელთა შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა 5 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს (გამონაკლისია ისეთი პროგრამების შესრულებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები, რომელთა მოქმედების ვადაც 1 წელზე ნაკლებია).“

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილება:

„სამეურვეო საბჭო:

ბ) გენერალური დირექტორის წარდგინებით, სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით იღებს საზოგადოებრივი მაუწყებლის დებულებას, ასევე ცვლილებებს დებულებაში, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების რედაქციული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას; უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით შეიტანოს დებულებაში ცვლილებები, **გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ცვლილება შეეხება საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრუქტურასთან დაკავშირებულ დებულებებს;**“

„გ) გენერალური დირექტორის წარდგინებით იღებს საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტს, ასევე ცვლილებებს ბიუჯეტში და ამტკიცებს მისი შესრულების ანგარიშს;

კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.“

ხელმომწერი ორგანიზაციების მოსაზრება

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს სამეურვეო საბჭოს უფლებას საკუთარი ინიციატივით წარადგინოს ცვლილებები ბიუჯეტში. შემოთავაზებული კანონპროექტით საბჭოს ერთმევა აღნიშნული უფლება, და ნაცვლად ამისა ბიუჯეტის, ისევე როგორც ბიუჯეტში ცვლილებების ინიცირების უფლება გენერალური დირექტორის ხელში გადადის.

ამასთან საბჭოს ერთმევა უფლება-მოსილება საკუთარი ინიციატივით შეიტანოს ცვლილებები მაუწყებლის დებულებაში, და ნაცვლად ამისა აღნიშნული მხოლოდ გენერალური დირექტორის მიერ ინიცირების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, ცვლილებათა მიზანია საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსა და გენერალური დირექტორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა. ნაცვლად ამისა პროექტის არსებული სახით მიღების შემთხვევაში

გაუმართლებლად გაიზრდება საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის უფლებამოსილება, სამეურვეო საბჭოს უფლება-მოვალეობათა შემცირების ხარჯზე. აღნიშნული კი ამცირებს საზოგადოებრივ მაუწყებელზე სრულყოფილი დემოკრატიული კონტროლის განხორციელების საშუალებებს, რაც თავის მხრივ ეწინააღმდეგება 2013 წელს მაუწყებლის რეფორმირების სულისკვეთებას.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო ადგენს მაუწყებლის თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულების ძირითად პირობებს. მაგალითად ისეთ სტანდარტებს, როგორც არის შრომითი ხელშეკრულების დადება არანაკლებ 1 წლის ვადით, და არანაკლებ 5 წლის ვადით საინჟინრო-ტექნიკური მუშაკების შემთხვევაში. შემოთავაზებული ცვლილების შედეგად არამართო სუსტდება სამეურვეო საბჭოს როლი საზოგადოებრივი მაუწყებლის მართვაში, არამედ მაუწყებელი საერთოდ თავისუფლდება ზემოთ მითითებული შრომითი უფლებების დაცვის ვალდებულებისგან. აღნიშნული არის მიუღებელი და წარმოადგენს საზოგადოებრივ მაუწყებელში თანამშრომელთა შრომითი უფლებების დაცვის მხრივ უკან გადადგმულ ნაბიჯს, რაც განსკუთრებით შემაშფოთებელია ბოლო პერიოდში მაუწყებელში არსებული პრობლემების წარმოჩენის ფონზე.

## სოციალური რეკლამა

### მუხლი 65, პუნქტი 2

“მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოქმედი რეგულაცია:

„2. საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, აგრეთვე სათემო მაუწყებელი ვალდებული არიან, ეთერში განთავსების მიზნით წარმოდგენილ სოციალურ რეკლამას უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად დაუთმონ 1 საათში ჯამში არანაკლებ 60 წამისა, რომლიდანაც არანაკლებ 10 წამისა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სათანადო სარეკლამო რგოლის წარმოდგენის შემთხვევაში საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ სოციალურ რეკლამას უნდა დაუთმოს. საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, აგრეთვე სათემო მაუწყებელი ვალდებული არიან, მათი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს საზოგადოებას სოციალური რეკლამის სახით მიაწოდონ ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტებისა და მნიშვნელოვანი საარჩევნო პროცედურების შესახებ. ინფორმაცია ზუსტი უნდა იყოს და უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) საარჩევნო უბნების მისამართები;

ბ) არჩევნების თარიღი;

გ) საარჩევნო საპროცედურო უფლებები და მოვალეობები.“

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილება:

„2. საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, აგრეთვე სათემო მაუწყებელი ვალდებული არიან, ეთერში განთავსების მიზნით წარმოდგენილ სოციალურ რეკლამას უსასყიდლოდ და არადისკრიმინაციულად დაუთმონ 3 საათში ჯამში არანაკლებ 90 წამისა, რომლიდანაც არანაკლებ 10 წამისა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სათანადო სარეკლამო რგოლის წარმოდგენის შემთხვევაში საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ სოციალურ რეკლამას უნდა დაუთმოს. საზოგადოებრივი მაუწყებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, აგრეთვე სათემო მაუწყებელი ვალდებული არიან, მათი მომსახურების ზონაში

მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს საზოგადოებას სოციალური რეკლამის სახით მიაწოდონ ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტებისა და მნიშვნელოვანი საარჩევნო პროცედურების შესახებ. ინფორმაცია ზუსტი უნდა იყოს და უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ა) საარჩევნო უბნების მისამართები;
- ბ) არჩევნების თარიღი;
- გ) საარჩევნო საპროცედურო უფლებები და მოვალეობები.“

#### ხელმომწერი ორგანიზაციების მოსაზრება

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად სოციალური რეკლამის მარეგულირებელ ნორმებში ცვლილებათა განხორციელების მიზანს წარმოადგენს რიგი დებულებების დაზუსტება და სოციალური რეკლამის საეთერო/ტექნიკური სტანდარტების დადგენა. განმარტებითი ბარათი გვერდს უვლის კანონის პროექტით შემოთავაზებულ ისეთ უმნიშვნელოვანეს ცვლილებას, როგორც სოციალური რეკლამისთვის დასათმობი დროის შემცირება. კერძოდ პროექტის თანახმად საზოგადოებრივ მაუწყებელი ვალდებული იქნება არსებულზე ორჯერ ნაკლები დრო დაუთმოს სოციალურ რეკლამას. ისევ და ისევ ხაზგასასმელია, ის რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი (ტელე და რადიო მაუწყებლობები) წარმოადგენენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საზოგადოებრივი მნიშვნელობის მატარებელი საქმიანობის განხორციელების ერთ-ერთ წარმოჩინებას სწორედ უფასო სოციალური რეკლამა წარმოადგენს. დაუშვებელია სოციალური რეკლამისათვის დასათმობი დროის განახევრება, მითუმეტეს კი იმ ვითარებაში, როდესაც განმარტებით ბარათში არ არის დასაბუთებული აღნიშნული ცვლილების აუცილებლობა.